აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საინჟინრო-ტექნიკური ფაკულტეტი

ხელნაწერის უფლებით

ირაკლი მიქელაძე

# ევრაზიული სატრანსპორტო დერეფნის სამხრეთ კავკასიის უბნის სატრანზიტო პოტენციალის გამოკვლევა და მისი გაზრდის მიზნით ინოვაციური ღონისძიებების შემუშავება

ტრანსპორტის ინჟინერიის დოქტორის (0716.1.1) აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

## ავტორეფერატი

ქუთაისი 2021

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საინჟინრო-ტექნიკური ფაკულტეტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: **პროფესორი - ემერეტუსი რანი ჭაბუკიანი**

რეცენზენტები: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის **პროფესორი ინდიკო აბაშიძე;**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის **პროფესორი გიორგი ფურცხვანიძე.**

დისერტაციის დაცვა შედგება 2021 წლის „--------“ ---------- $14^{00}$ საათზე საინჟინრო - ტექნიკური ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ შექმნილ სადისერტაციო კომისიის სხდომაზე. მისამართი: 4600. ქუთაისი. თამარ მეფის ქ. 59, I კორპუსი აუდ. №1114.

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში მისამართზე: 4600. ქუთაისი. თამარ მეფის ქ. 59.

ავტორეფერატი დაიგზავნა “____” _____ 2021 წ.
(თარიღი)

სადისერტაციო საბჭოს
მდივანი, ასოც. პროფესორი _____ /ნ. სახანბერიძე/
(ხელმოწერა)

**თემის აქტუალობა.** სატრანსპორტო საშუალებების განვითარება გულისხმობს არა მარტო საგზაო ქსელების გაფართოებას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების ქალაქებსა და რეგიონებს შორის, არამედ იგი საფუძველია წარმოების მიერ შექმნილი პროდუქციის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით დანიშნულების (მოთხოვნის) ადგილზე მიწოდებისათვის.

გლობალიზაცია და ევროკავშირთან მზარდი ეკონომიკური კავშირები საქართველოს საერთაშორისო ვაჭრობაში სრულად ინტეგრაციის უნიკალურ შესაძლებლობას ქმნის. ტრანსპორტისა და ლოგისტიკის სექტორმა ამ პროცესში ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს. ისტორიულ აბრეშუმის გზაზე გამავალი სატრანსპორტო მარშრუტი და მისი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რგოლი საქართველო, ევროპა-აზიის შემაერთებელ დერეფანს წარმოადგენს, რომელშიც განვითარებულია თითქმის ყველა სახეობის ტრანსპორტი: სარკინიგზო, საავტომობილო და საჰაერო, ასევე საზღვაო ნავსადგურები და ნავთობ და გაზსადენები, რაც განსაზღვრავს საქართველოს ინტეგრირებას საერთაშორისო სატრანსპორტო ქსელში. ევროკავშირის სატრანსპორტო სისტემაში საქართველოს ინტეგრაცია ნიშნავს ევროპული სტანდარტების დანერგვას, სატრანსპორტო კავშირების გაუმჯობესებას, განვითარებულ ინფრასტრუქტურას და ხარისხიან სერვისებს.

ტვირთების გადაზიდვის ლოგისტიკურ ჯაჭვში უწყვეტი სატრანსპორტო სისტემის უზრუნველყოფისათვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ტრანსპორტის თითოეული სახეობის ეფექტური სატრანსპორტო სისტემის შექმნა, არამედ სხვადასხვა სახის ტრანსპორტის ურთიერთმოქმედება. ტვირთნაკადების ერთი სახის ტრანსპორტიდან მეორეზე გადაცემის პროცესის მნიშვნელოვან პუნქტს მიეკუთვნება პორტები და პორტისწინა სადგურები.

ტვირთების გადაზიდვის ლოგისტიკურ ჯაჭვში ერთერთ მნიშვნელოვან რგოლს წარმოადგენს მაღალხარისხოვანი საბაჟო სერვისის დანერგვა, საბაჟო კონტროლისა და დოკუმენტაციის გაფორმებისას ეფექტური ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენება, რომელიც ითვალისწინებს აგრეთვე საერთაშორისო სტანდარტებთან ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისობას.

დღეს მსოფლიოში კონტეინერებით გადაიზიდება საკონტეინერო ტვირთების დაახლოებით 55%. 2025 წლისთვის მოცემული მაჩვენებელის ზრდა არსებულის 70%-ის ფარგლებში არის პროგნოზირებული. გაეროს ეკონომიკური და სოციალური კომისიის პროგნოზის მიხედვით მსოფლიო საკონტეინერო გადაზიდვები უმოკლეს ვადაში მიაღწევენ 577 მილიონ TEU-ს.

უკანასკნელ წლებში შეიმჩნევა საქართველოს ნავსადგურებში გადამუშავებული და რკინიგზით გადაზიდული კონტეინერების მნიშვნელოვანი რაოდენობრივი ზრდა. 2019 წელს სარკინიგზო-საკონტეინერო გადაზიდვები 2018 წელთან შედარებით 39.0%-ით არის გაზრდილი. 2020 წლის იანვარ-ივლისის

პერიოდში გადამუშავდა 47, 306 TEU, რაც 2019 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 8.3%-ით მეტია (43, 687 TEU).

მიუხედევად ბოლო წლებში კონტეინერებით გადაზიდვების ზრდისა, არსებობს პრობლემები სხვადასხვა სახის ტრანსპორტის ურთიერთქმედების სფეროში. ხდება ვაგონებისა და გემების მოცდენები, სხვადასხვა სტანდარტების სისტემას მივყავართ დოკუმენტების რაოდენობრივ ზრდადამდე, სარკინიგზო-საზღვაო გადაზიდვებში საექსპორტო და საიმპორტო ტვირთების გაფორმების პროცედურების დროის ხანგრძლივობის გაზრდის გამო მცირდება სარკინიგზო ტრანსპორტის კონკურენტუნარიანობა.

სადისერტაციო სამუშაოს კვლევის სფეროს წარმოადგენს კონტეინერნაკადის გადაცემისას საზღვაო და სარკინიგზო ტრანსპორტის ურთიერთქმედების პროცესის კვლევა, რომელიც გავლენას ახდენს ევრაზიული სატრანსპორტო დერეფნის სამხრეთ კავკასიის უბნის ეფექტურობის ამაღლებაზე. აღნიშნული ადასტურებს სადისერტაციო თემის აქტუალობას.

**სამუშაოს მიზნები და ამოცანები.** ევრაზიული სატრანსპორტო დერეფნის საქართველოს უბანზე სატრანზიტო პოტენციალის ამაღლება, საბაჟო გაფორმების პროცედურების სრულყოფით და პორტებსა და პორტისწინა სადგურებში კონტეინერნაკადების მიწოდებისას საზღვაო და სარკინიგზო ტრანსპორტის ურთიერთქმედების პროცესის პარამეტრების გამუჯობესებით.

მითითებული მიზნის მისაღწევად აუცილებელია გადაიჭრას შემდეგი **ამოცანები:**

- საქართველოსა და საზღვარგარეთ სატრანსპორტო დერეფნების და საკონტეინერო გადაზიდვების სფეროში არსებული მდგომარეობის თეორიულ-პრაქტიკული კვლევების ანალიზი;
- საბაჟო სამსახურის ადმინისტრირების ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის ანალიზი და მისი გაუმჯობესების ღონისძიებების შემუშავება;
- საზღვაო პორტის და პორტისწინა სარკინიგზო სადგურებში კონტეინერების ორმხრივი ჩანაცვლების პროცესის გამოკვლევა დროის დანახარჯების მინიმიზაციაზე;
- საქართველოს საზღვაო პორტებისათვის სარკინიგზო ვაგონების მიწოდების ოპტიმალური რაოდენობის განსაზღვრა;
- პორტებსა და ნავსადგურებში სხვადასხვა სახის სატრანსპორტო საშუალებების ერთობლივი მუშაობის ანალიზი - კვლევის მათემატიკური მეთოდების გამოყენებით;
- საკონტეინერო ტერმინალის ოპტიმალური მოცულობის განსაზღვრა. საზღვაო და სარკინიგზო ტრანსპორტის ურთიერთქმედების მახასიათებელი ეკონომიკური ეფექტურობის მაჩვენებლის - დამატებითი კაპიტალდაბანდების ანგარიში.

**კვლევის ობიექტი.** ტრანსკავკასიური დერეფნის საქართველოს უბანზე სხვადასხვა სახის ტრანსპორტის ფუნქციონირება, პორტისწინა სარკინიგზო სადგურისა და საზღვაო პორტების ერთობლივი მუშაობა.

**კვლევების მეთოდები.** სატრანსპორტო სისტემის ანალიზი და ქართველი და უცხოელი მეცნიერების კვლევების სისტემური მასალები.

კვლევების ჩასატარებლად შეირჩა სტატისტიკის გამოყენებითი და სპეციალურად დამუშავებული კომპიუტერული პროგრამები, მარაგების მართვის თეორიის, მათემატიკური მოდელირების და კვლევის შედეგების ანალიზის გრაფოანალიზური მეთოდები.

კვლევების ყოველ ეტაპზე გამოყენებული იქნა თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიები.

**ნაშრომის მეცნიერული სიახლე** მდგომარეობს შემდეგში:

- ✓ მარაგების მართვის თეორიის გამოყენებით დამუშავდა სარკინიგზო ვაგონების მიწოდების ოპტიმალური რაოდენობის განსაზღვრის მეთოდიკა;
- ✓ კონტეინერნაკადების მიწოდებისას საზღვაო და სარკინიგზო ტრანსპორტის ერთობლივი მუშაობის კვლევისათვის დამუშავდა მათემატიკური მოდელირების მეთოდიკა;
- ✓ მათემატიკური მოდელის საფუძველზე შექმნილი საანგარიშო ალგორითმით განისაზღვრა, გემების შემოსვლის ინტენსივობაზე და კონტეინერტევადობაზე დამოკიდებულებით საკონტეინერო ტერმინალის მოცულობა;
- ✓ სამხრეთ კავკასიის სატრანსპორტო დერეფნის საქართველოს უბანზე მიწისზედა და საზღვაო სატრანსპორტო საშუალებების ურთიერთქმედების ტექნოლოგიის გაუმჯობესება;

**პრაქტიკული მნიშვნელობა.** ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება მდგომარეობს იმაში, რომ ჩატარებული კვლევის საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციები გააუმჯობესებენ: საბაჟო ადმინისტრირების სისტემის მუშაობას ევროკავშირის ქვეყნების ნორმატიულ-სამართლებრივ ბაზასთან მიმართებაში; საზღვაო და სარკინიგზო ტრანსპორტის ერთობლივი მუშაობის ეფექტიანობასა და საკონტეინერო გადაზიდვების სიმძლავრეების ამაღლებას.

პროექტის განხორციელების შედეგად შექმნილი ინტელექტუალური პროდუქტის გამოყენების ძირითადი სფეროებია:

- საქართველოს და მეზობელი ქვეყნების საბაჟო ადმინისტრაცია;
- საქართველოს საზღვაო პორტები;
- ბათუმის საზღვაო აკადემიის შესაბამის მიმართულებით სტუდენტების სასწავლო პროცესი და მომზადება-გადამზადების ტრენინგ-ცენტრები.

<u>**სამუშაოს აპრობაცია.**</u> სადისერტაციო კვლევის ძირითადი დებულებები და შედეგები წარმოდგენილი იყო სამეცნიერო მოხსენებებსა და გამოსვლებში:

1. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო ტექნიკური ფაკულტეტის მშენებლობისა და ტრანსპორტის დეპარტამენტის ტრანსპორტის მიმართულების სამეცნიერო-პრაქტიკულ სემინარებზე (ქ. ქუთაისი 2019-2021 წწ.);
2. XXVII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე (“trans&MOTAUTO19”. 17 - 20.06.2019) ვარნა, ბულგარეთი.
3. III საერთაშორისო სამეცნიერო კონფეენციაზე ( "HIGH TECHNOLOGIES. BUSINESS. SOCIETY 209" 10-11.03.2019) ზამთრის კურორტი „BOROVETS”, ბულგარეთი.
4. სამეცნიერო ტექნიკური კონფერენცია „შეზღუდული შესაძლებლობების პირთა მისაწვდომობის პრობლემები სამოქალაქო ინფრასტრუქტურაში და განვითარების პერსპექტივები“. ქუთაისი 2019.
5. ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სტუდენტური და სამეცნიერო ონლაინ კონფერენცია, ბათუმი, 27-28 ნოემბერი, 2020 წელი.

**გამოქვეყნებული მასალები.** დისერტაციის მასალების მიხედვით გამოქვეყნებულია 5 ნაშრომი, მათ შორის სამი საერთაშორისო რეცენზირებად ინგლისურენოვან ჟურნალებში. აღნიშნული ჟურნალები რეკომენდირებულია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო–ტექნიკური ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ.

**სამუშაოს სტრუქტურა და მოცულობა.** დისერტაცია შედგება ხუთი თავისაგან და შეიცავს 20 ცხრილს, 44 სურათს, 1 დანართს და ლიტერატურის 97 დასახელებას. საერთო მოცულობა შეადგენს 161 გვერდს.

**ნაშრომის პირველ თავში** მოცემულია ახალი აბრეშუმის გზის სატრანსპორტო დერეფნის, სამხრეთ კავკასიის მონაკვეთზე საკონტეინერო გადაზიდვების სფეროში არსებული მდგომარეობის ანალიზი, განხილულია სხვადასხვა სახის საზღვაო პორტის და პორტისწინა სარკინიგზო სადგურის ურთიერთქმედების პროცესი, სარკინიგზო ტრანსპორტით საზღვაო პორტების მომსახურების სახეები.

საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფნებით საკონტეინერო გადაზიდვების სფეროში არსებული მდგომარეობის ანალიზში, სხვადასხვა სახის ტრანსპორტის ურთიერთქმედების თეორიისა და პრაქტიკის საკითხების კვლევებში უდიდესი წვლილი შეიტანეს როგორც საქართველოს ასევე საზღვარგარეთელმა მეცნიერებმა: პ. ქენქაძე, დ. ჯაფარიძე, თ. დოლბაია, ი. დანელია, მ. კრისტოფერი, ი. ანსოფი, კოპაჩინისი, გროსი, რ. ვალუსი, ჯ.ლარსენი, თ. ქირბი, გ.ნიკიფოროვი, ლ. ვარდოვსკი, ო.მალიკოვა ი. შერბინი ა. კუზნეცოვი და ბევრი სხვა.

ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საქართველოს მონაკვეთზე ტვირთნაკადების გატარებას ემსახურება 5 საზღვაო და სარკინიგზო დერეფანი. მსოფლიოში მოქმედი საერთაშორისო დერეფნების შეფასება - შედარებითმა ანალიზმა აჩვენა, რომ ახალი აბრეშუმის გზის უპირატესობები სხვა დერეფნებთან შედარებით მდგომარეობს მარშრუტის სიგრძის სიმოკლესა და ტრანსპორტირების ხარჯების სიმცირეში.

უკანასკნელ პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა პოსტსაბჭოური ქვეყნების სატრანზიტო პოტენციალი, რაც გულისხმობს ქვეყნის ნაციონალური კომუნიკაციებით საერთაშორისო ტვირთების გადაზიდვას (ყაზახეთი-აზერბაიჯანი-საქართველო-ბელორუსია-უკრაინა), ხოლო დანარჩენი ჩამოყალიბდნენ სატრანზიტო დამოუკიდებელ ქვეყნებად (სომხეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი).

ახალი აბრეშუმის გზის სამხრეთ კავკასიის მონაკვეთზე ახალქალაქის გავლით ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალი იქცევა საკვანძო მონაკვეთად სატრანსპორტო დერეფანში - „ევროპა-კავკასია- აზია“ (ტრასეკა). ამ სარკინიგზო ხაზით დასაწყისში ვარაუდობენ 3 მილიონი ტონა ტვირთის გადაზიდვას.

ანაკლიის პორტი საქართველოს პირველი ღრმაწყლოვანი პორტი იქნება, რომელიც აღიჭურვება თანამედროვე ტექნიკითა და ინფრასტრუქტურით. პორტის სიღრმე 16 მეტრი იქნება, რომელსაც შეეძლება მიიღოს დიდი ზომის, პანამაქსისა და პოსტპანამაქსის ტიპის გემები ( 8 ათასი – 8,5 ათასი კონტეინერის ტევადობით).

ტრანსკავკასიური დერეფნის საქართელოს მონაკვეთზე უპირველეს ყოვლისა უნდა მოხდეს მიწისზედა და საზღვაო სატრანსპორტო სახეების ურთიერთდამოკიდებულების ჰარმონიზაცია, სარკინიგზო გადაზიდვების მნიშვნელოვანი გაზრდა და საბაჟო საქმეზე დახარჯული დროის შემცირება-უნიფიცირება ევრაზიული დერეფნის სატრანსპორტო პროცესების დამახასიათებელ პარამეტრებთან.

**ნაშრომის მეორე** თავი ეძღვნება სატრანზიტო გადაზიდვის პროცესში საბაჟო ადმინისტრირების სისტემის გაუმჯობესების საკითხს და პრაქტიკული რეკომენდაციების დამუშავებას. საქართველოს საბაჟო მომსახურების სფეროში განვითარებული ქვეყნების გამოცდილების დანერგვა უზრუნველყოფს: საერთაშორისო ეკონომიკური და ფინანსურ ინსტიტუტების ქვეყნის ეროვნული და საერთაშორისო ინტერესების თანხვედრას; საქართველოს სატრანზიტო პოტენციალის რეალიზაციის ეფექტიანობის ამაღლებას; საქართველოს საბაჟო ორგანოების მუშაობის პრაქტიკაში თანამედროვე საინფორმაციო-ლოგისტიკური ტექნოლოგიების დანერგვას. ამ ღონისძიებების დანერგვა საერთაშორისო სატრანზიტო ტვირთების გადაზიდვისას უზრუნველყოფს: საბაჟო მომსახურებაზე დახარჯული დროის მინიმიზაციას; საერთაშორისო და ნაციონალური დოკუმენტაციის უნიფიცირებას; ტვირთების საბაჟო ადმინისტრირების გამჭირვალობის ამაღლებას, საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსული საბაჟო კანონმდებლობის ნორმების, წესების და პროცედურების გაუმჯობესებას და ა.შ. ჩამოთვლილი ორიენტირები ეფუძნება საერთაშორისო სტანდარტების და ევროკავშირის საბაჟო სამსახურის საინფორმაციო ტექნოლოგიების ფართო გამოყენებას.

საერთაშორისო სტანდარტის ხარისხის ანუ ISO-ს მოთხოვნებით საქართველოს საბაჟო სამსახურების მუშაობის მიზანია საგარეო ვაჭრობის მონაცემების მრავალფაქტორიანი ანალიზი, დამუშავების საერთაშორისო ავტომატიზირებული

სისტემების ფორმირება, ელექტრონული სისტემების ფართო დანერგვა და საბაჟო საქმის მონიტორინგის და აუდიტის საქმიანობის შემოწმება ინფორმაციების ინტენსიური გაცვლის საშუალებით.

საბაჟო სამსახურის პრაქტიკული საქმიანობა ითვალისწინებს ნაციონალური სატრანსპორტო მარშრუტების ინტეგრაციას მსოფლიო სატრანსპორტო სისტემაში, შავი ზღვის საპორტო ტერმინალების შესაძლებლობების გაზრდას. საბაჟო სამსახურში პერსპექტიული მეთოდების დანერგვა შექმნის საგარეო ვაჭრობის სტაბილურ და ხელსაყრელ გარემოს, უკანასკნელი საშუალებას იძლევა აზია-ევროპის ხაზზე ტვირთების გატარებისას გამოვიყენოთ ინოვაციური მიდგომები, ფორმები და მეთოდები. თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ტრანზიტული ტვირთების საბაჟო გაფორმების სქემა (სურ.1) გულისხმობს საბაჟო გაფორმების ერთი ფაზიდან მეორეზე უწყვეტი გადასვლას. ფაზების პირობითი აღნიშვნები: A - ტვირთების შემოსვლა ნავსადგურებში; B- ტვირთების განთავსება პორტის დროებითი შენახვის საცავში; C - ტვირთის დოკუმენტაციის პაკეტის შემოწმება; D-ტვირთის მომზადება საბაჟო ორგანოებზე გადასაცემათ; F - პორტის ტერმინალიდან ტვირთის ფაქტიური გატანა.




სურ. 1. საზღვაო პორტში სატრანზიტო ტვირთების საბაჟო გაფორმების სქემა.

**Fig. 1. The phases of customs clearance of transit cargo at the seaport (customs authorities; participant of foreign economic activity)**

საბაჟო გაფორმების მოქმედი სისტემის ძირითადი ნაკლია საბაჟო ორგანოს თანამდებობის პირების უშუალო (ფიზიკური) მონაწილეობა ტვირთის თითეულ ფაზაში გადასვლაზე. მაგალითად, ტვირთის დროებითი შენახვის საცავში ტვირთის განთავსება, რეგისტრაცია და დათვალიერება მოითხოვს მასში საბაჟო საპორტო

წარმომადგენლების მონაწილეობას. იგივე ხორციელდება A ფაზაში პორტში შემოსული ტვირთების გადმოტვირთვისას.

ნაშრომში განხილული საბაჟო გაფორმების ტექნოლოგიის ჩარჩოებში არსებობს შესაძლებლობა ფუნქციების ნაწილი გადანაწილდეს საბაჟო ბროკერზე, ანუ მან შეასრულოს საბაჟო ორგანოების სამუშაოს გარკვეული ნაწილი. ამისათვის წარმომადგენელი წარმოადგენს სათანადო საბუთს, დოკუმენტაციას ელექტრონული სახით შემოწმებისა და ანალიზით ტვირთის ფაქტობრივ შემოსვლამდე;

კონტეინერის დროებითი შენახვის საცავში შემოწმება უნდა განხორციელდეს პორტის სამსახურთან ერთად საბაჟო ორგანოს თანამშრომლობის ჩართვის გარეშე, რომელსაც ექნება საქართველოს რეესტში გატარებული შტამპი და ბეჭედი. არანაკლებ მნიშვნელოვანია საბაჟო გაფორმების მეორე გაუმჯობესებელი ელემენტი - წინასწარი საბაჟო გაფორმების ელექტრონული ფორმა.

ნაშრომში შემოთავაზებულია გენერალური აქტი, რომლის შესადგენად გამოიყენება ე.წ. ,,სცენარული ანალიზის მეთოდიკა“. აღნიშნულმა შეიძლება შეცვალის საბაჟო დათვალიერების აქტი, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს საბაჟო გაფორმების დროის დანაკარგებს.

თანამედროვე ეტაპზე მოქმედებს ეკონომიკური ოპერატორის უფლებამოსილი ინსტიტუტი. საქართველოს სატრანზიტო გადაზიდვებში საჭიროა დაშვებული იქნა ,,ულებამოსილი ეკონომიკური ოპერატორის“ ცნება ეს და სხვა სიახლეები საჭიროა დაინერგოს საბაჟო გაფორმების პრაქტიკაში, რათა წარმატებით გადაიჭრას სატრანსპორტო ლოგისტიკის ინდუსტრიაში ტვირთზიდვის მართვის სისტემის ამოცანები TMS-ის სისტემით.

**ნაშრომის მესამე თავში** ჩატარებულია სარკინიგზო და საზღვაო ტრანსპორტის ურთიერთქმედების კვლევა, კონტეინერების გადაცემის პროცესის მომენტში, ეტაპობრივი მოდელირებით. დასმული ამოცანის შესრულების დროს უზრუნველყოფილი უნდა იყოს: გემებისა და სარკინიგზო ვაგონების მოცდენის მინიმიზაცია; დატვირთვა-დაცლის მანქანების დროის დანახარჯების შემცირება; ტვირთების მაქსიმალური გადაზიდვა პირდაპირი გზით.

კვლევის საწყის ეტაპზე შერჩეული იქნა საზღვაო პორტისა და პორტისწინა სადგურის მუშაობის ე.წ. დესკრიპტიული მოდელი (სურ.2), რომელიც გულისხმობს ყველა საჭირო პროცედურის თანმიმდევრულ შესრულებას. შინაარსობრივად აღწერილი ბლოკ–სქემაში გამოყოფილია 20 ძირითადი ოპერაცია კონტეინერული ნაკადების ორმხრივი მოძრაობის შესახებ (ზღვიდან ხმელეთზე და პირიქით).




სურ.2. საზრვაო პორტისა და პორტისწინა სარკინიგზო სადგურის დისკრეპტული მოდელი.

**Fig. 2. A descriptive model of the sea port and the pre-port railway station**

დღეისათვის ევროკავშირის ქვეყნების სატრანსპორტო სისტემების განვითარების ერთადერთ მიმართულებას წარმოადგენს მომიჯნავე სახის სატრანსპორტო საშუალებების ურთიერთქმედების პრობლემები, გარემოს დაბინძურების შემცირება და მობილობის ზრდა, რომელიც წარმოადგენს საერთაშორისო კვლევის ობიექტს. ეს პრობლემა ჩვენს მიერ განხილულია ბათუმისა და ფოთის პორტების მაგალითზე - ე.წ. მასობრივი მომსახურების თეორიის გამოყენებით და შესაბამისად მათემატიკური მოდელირებით (მოდელი, მოდელის კვლევა და მოდელის გამოყენება). იგი შედგება ოთხი კომპონენტისაგან: საზღვაო ტრანსპორტი, რომელშიც შედის და გამოდის ტვირთნაკადები, სარკინიგზო, საკონტეინერო და საავტომობილო ტრანსპორტისაგან.

,,საზღვაო პორტი – სარკინიგზო სადგური და ავტომაგისტრალი“ როგორც ერთიანი სისტემა ხასიათდება ზომის სხვადასხვა ერთეულებითა და ზღვრებით.

საზღვაო პორტის მუშაობის პარამეტრებია: პორტის წლიური ტვირთბრუნვა; კონტეინერმზიდი გემის ტიპი; მისადგომების რაოდენობა პორტში; ნავიგაციის ხანგრძლივობა; გემების მომსახურე ტექნოლოგიური ხაზების რაოდენობა; ტექნოლოგიური ხაზის საექსპლუატაციო მწარმოებლობა; გემის დამუშავების დრო.

სარკინიგზო ტრანსპორტის სამუშაო პარამეტრებია: პორტისწინა სარკინიგზო სადგურის წლიური ტვირთბრუნვა; სალიანდაგო გზების სიგრძე და რაოდენობა; ერთ მიწოდებაზე ვაგონების რაოდენობა; სარკინიგზო ტრანსპორტის მომსახურე ტექნოლოგიური ხაზების რაოდენობა; ტექნოლოგიური ხაზის „სარკინიგზო ფრონტი-შენახვის ზონა“ ტექნიკური მწარმოებლობა; მიწოდებული ვაგონების დამუშავების დრო.

ზეოთჩამოთვლილი ყველა პარამეტრი სქემატურად დაკავშირებულია ერთმანეთთან ისეთნაირად, რომ მოიცავს მხოლოდ იმ პარამეტრებს და მათ შორის კავშირს, რომელებსაც აქვს მნიშვნელობა ნაშრომში დასმული ამოცანის გადაწყვეტისათვის.

დანახარჯები ვაგონების პარტიის მიწოდებაზე პორტის მისადგომთან არაა დამოკიდებული მიწოდებული ვაგონების რაოდენობაზე. დავუშვათ დანახარჯების ეს მუდმივი ნაწილი არის $C_1$. დროის ერთეულში პორტის მისასვლელ სალიანდაგო გზაზე ვაგონის ლოდინით გამოწვეული არამწარმოებლური დანახარჯით ( $C_{\partial}$ ) და დროის θ ინტერვალში სადგურში ვაგონების მარაგით ($N$) უნდა განისაზღვროს ერთი მიწოდებისას ვაგონების ის რაოდენობა n, რომლის დროსაც ჯამური დანახარჯი იქნება მინიმალური.

დროის $T$ ინტერვალში დანახარჯები შენახვაზე ტოლია $\frac{1}{2}n \cdot c_{\partial} \cdot T$ ანუ დანახარჯი ერთ მიწოდებაზე შეადგენს

$$C_{\partial} = c_1 + \frac{1}{2}n \cdot c_{\partial} \cdot T$$

პორტის მისადგომთან მიწოდებული ვაგონების რაოდენობა იქნება

$$r = \frac{N}{n} = \frac{\theta}{T} \qquad (1)$$

მაშინ საერთო დანახარჯი დროის θ ინტერვალში იქნება

$$G = \left(c_1 + \frac{1}{2}n \cdot c_{\text{დ}} \cdot T\right) r = \left(c_1 + \frac{1}{2}n \cdot c_{\text{დ}} \cdot T\right)\frac{N}{n} = c_1\frac{N}{n} + \frac{N \cdot T}{2}c_{\text{დ}} = \frac{N \cdot c_1}{n} + \frac{\theta \cdot c_{\text{დ}}}{2}n$$

ამრიგად G – ცვლადი n–ის ფუნქციაა ცნობილი პარამეტრებით N, θ, $c_{\text{დ}}$, $c_1$

$$G(n) = \frac{N \cdot c_1}{n} + \frac{\theta \cdot c_{\text{დ}}}{2}n$$

შემოვიღოთ აღნიშვნა:

- საერთო დანახარჯი მიწოდებაზე

$$G_1 = \frac{N \cdot c_1}{n}$$

- საერთო დანახარჯი მოცდენაზე

$$\mathrm{G}_{\text{დ}} = \frac{\theta \cdot \mathrm{c}_{\text{დ}}}{2}\mathrm{n}$$

ამასთან ერთად ჯამი $G(\mathrm{n}) = G_1 + G_{\text{დ}}$ , n – ის რომელიმე სიდიდისას უნდა ქონდეს მინიმუმი.

თუმცა ცნობილია, ორი ცვლადი სიდიდის ჯამის მინიმუმი მათი წარმოებულის მუდმივობისას დადგება მაშინ, როცა ეს სიდიდეები ერთმანეთს გაუტოლდებიან.

მოცემულ მოდელში

$$G_1 \cdot G_{\text{დ}} = \frac{1}{2}N \cdot \theta \cdot c_1.c_{\text{დ}} = \text{const}$$

შესაბამისად $G_1 + G_{\text{დ}}$ მინიმუმი მიიღწევა (სურ.3.6), როცა $G_1 = G_{\text{დ}}$, ანუ

$$\frac{N \cdot c_1}{n} = \frac{\theta \cdot c_{\text{დ}}}{2}n \qquad (.2)$$

მაშასადამე მიწოდებისას ვაგონების ოპტიმალური რაოდენობა ტოლი იქნება

$$n = n_0 = \sqrt{2\frac{N \cdot c_1}{\theta \cdot c_{\text{დ}}}}$$

თუ (2)–ს ჩავსვამთ (1) ფორმულაში, მივიღებთ:

$$T = T_0 = \sqrt{2\frac{\theta \cdot c_1}{N \cdot c_{\text{დ}}}} = \frac{\theta}{N}n_0$$

და

$$G_0 = G(n_0) = \sqrt{2N \cdot \theta \cdot c_1 \cdot c_{\text{დ}}}$$

რაც შეეხება დღიურ ანარიცხებს ვაგონების მიწოდებაზე (გადაყვანაზე), ანუ სატერმინალო მომსახურებაზე THC (ზემოდან დაცლა/დატვირთვა და ბორტზე განლაგება შეადგენს 300 აშშ $ (900 ლარი); ვაგონების დღეღამური განლაგება ხორციელდება კვირაში 6-ჯერ და თითო მიწოდებაზე იხარჯება თანხა $C_1$=900/6=150 ლარი. პორტებში ვაგონების არამწარმოებლური დანახარჯი განისაზღვრა ორი ხერხით: პირველი სატარიფო განაკვეთით გაანგარიშებულმა შეადგინა $c_{\text{დ}} =$ 2,08 ლარი/*სთ.*; მეორე ხერხით, ვაგონების მოცდენის ღირებულებამ შეადგინა $c'_{\text{დ}} =$ 10,1 ლარი/სთ . მიწოდებული ვაგონების როდენობაზე დამოკიდებულებით საერთო დანახარჯის $G(n)$ ფუნქციას ვანგარიშობთ მათემატიკური პაკეტის Mathcad-ის გამოყენებით.




სურ.3. დანახარჯების ცვალებადობა ვაგონების მიწოდებაზე (საწყისი მონაცემები: $c_{\text{დ}} = 2{,}02$ ლარი/სთ; $c_1$=150ლარი; $N = 200$ ვაგონი, $\theta = 24$ სთ.)

**Fig. 3. Variation of costs on train car delivery (initial data: $c_c = 2{,}02$ GEL/h; $c_1$= 150 GEL; $N = 200$ train cars, $\theta = 24\ h$.)**

ანგარიშით მიღებული მნიშვნელობების მიხედვით ვაგებთ საერთო დანახარჯების $G(n)$ ფუნქციის მრუდს (სურ.4) დამოკიდებულს მიწოდებული ვაგონების რაოდენობაზე $n$, როცა ცნობილია $N, \theta, c_1, c_{\text{დ}}$ პარამეტრების რიცხვითი მნიშვნელობები.




სურ.4.დანახარჯების ცვალებადობა ვაგონების მიწოდებაზე (საწყისი მონაცემები: $c_{\text{დ}} = 2{,}02$ ლარი/სთ; $c_1$=150ლარი; $N = 200$ ვაგონი, $\theta = 24$ სთ.)

**Fig.4. Variation of costs on train car delivery (initial data: $c_c = 2{,}02$ GEL/h; $c_1$=150 GEL; $N = 200$ train cars, $\theta = 24\ h$.)**

ამგვარად პირველი შემთხვევის ანგარიშის მონაცემების მიხედვით ვაგონების მიწოდების ოპტიმალური რაოდენობა უნდა იცვლებოდეს ზღვრებში 31-დან 39 ვაგონამდე (სურ.3), ხოლო მეორე შემთხვევაში 14-18 ვაგონი (სურ.4). აღნიშნული თეორიული კვლევის შედეგები გამოყენებას ჰპოვებს საზღვაო პორტის და პორტისწინა სარკინიგზო სადგურის მუშაობის მათემატიკური მოდელის აგებაში.

პორტისა და სადგურის ფუნქციონალური დამოკიდებულებისათვის გამოყენებული გვაქვს მათი შეთანხმებული მუშაობის სიმბოლური (აბსტრაქტული) მოდელი; ცნობილია, რომ საზღვაო პორტის ტვირთბრუნვა და კონტეინერმზიდი გემების ტიპები განსაზღვრავენ პორტის მისადგომების რაოდენობას.

გემის გადამუშავების საანგარიშო დრო, სთ-ში იანგარიშება

$$T_{\text{გად}} = \frac{2Q_{\text{კონ}} \cdot K_{\text{ბ}}}{M_{\text{ბ}}}$$

სადაც $Q_{\text{კონ}}$ - გემის კონტეინერტევადობაა, კონტ; $K_{\text{ბ}}$ - გემის კონტეინერტევადობის გამოყენების კოფეიციენტია $K_{\text{ბ}} = 0{,}85$; $M_{\text{ბ}}$ - საზღვაო სატვირთო ფრონტის მწარმოებლობაა კონტ/სთ-ში, რომელიც იანგარიშება ფორმულით:

$$M_{\text{ბ}} = R_{\text{სმ}} \cdot N_{\text{სმ}}.$$

სადაც $R_{\text{სმ}}$ ტექნოლოგიური ხაზის საექსპლოატაციო მწარმოებლობაა, კონ/სთ; $N_{\text{სმ}}$ - ხაზების რაოდენობა.

ვაგონების დამუშავების დრო $T_{\text{დამ.ვ}}$ საათში განისაზღვრება ფორმულით

$$T_{\text{დამ.ვ}} = \frac{2{,}5n}{M_{\text{რკ}}}$$

სადაც 2,5 – კონტეინერების საშუალო რაოდენობაა ერთ ვაგონში, კონტეინერი; $n$ – ერთ მიწოდებაზე ვაგონების რაოდენობა; $M_{\text{რკ}}$ – სარკინიგზო სატვირთო ფრონტის მწარმოებლობა კონტეინერი/საათში იანგარიშება ფორმულით:

$$M_{\text{რკ}} = P_{\text{რკ.ფ}} \cdot N_{\text{რკ.ფ}}$$

სადაც $P_{\text{რკ.ფ}}$ – ტექნოლოგიური ხაზის რკინიგზის ფრონტის საექსპლუატაციო მწარმოებლობაა, კონტ./სთ; $N_{\text{რკ.ფ}}$ – სარკინიგზო ფრონტის ხაზის რაოდენობა.

სადღეღამისო ინტენსივობა, გემი/დღეღამეში

$$\lambda_c = \frac{Q_{\text{ბ}}}{T_{\text{ნ}} \cdot Q_{\text{კონ}} \cdot K_{\text{ტ}}}$$

აქ $Q_{\text{ბ}}$ - პორტის წლიური ტვირთბრუნვაა კონტეინერი/წელიწადში; $Q_{\text{კონ}}$ - გემის ტვირთამწეობა (კონტეინერტევადობა), კონტეინერი.

გემების საანგარიშო რაოდენობა $K$ , რომელიც P=0,9 ალბათობას არ გადააჭარბებს $K_p$ - ს მნიშვნელობას განისაზღვრება

$$P(k < k_p) = \sum_{k=0}^{k=k_p} \frac{(\lambda_c \cdot t_{\text{შენ}})^K}{K!} \cdot e^{-\lambda L_{xp}}$$

კონტეინერების საწყობის მოცულობა გემების პუასონური შემავალი ნაკადის შემთხვევაში შეიძლება გამოითვალოს ფორმულით

$$E_{xp} = Q_{\text{კონ}} \cdot K_{\text{ტევ}} \cdot K_p$$

პორტისა და რკინიგზის სადგურების ურთიერთდამოკიდებულების სიმბოლური სახით ასახვამ საშუალება მოგვცა შეგვედგინა მოდელირების პროგრამის ალგორითმი.

**მეოთხე თავში** აღწერილია საზღვაო და სარკინიგზო ტრანსპორტის ურთიერთქმედების პროცესების, აგრეთვე კონტეინერნაკადის გადაცემისას პორტისა და პორტისწინა სადგურის მუშაობის მათემატიკური მოდელირებით კვლევის ალგორითმი.




სურ 5. სარკინიგზო და საზღვაო ტრანსპორტის ურთიერთქმედების

პროცესის მოდელირების ზოგადი ალგორითმი

საქართველოს სარკინიგზო და საზღვაო ტრანსპორტის ურთიერთდამოკიდებულების მათემატიკური მოდელის რეალიზაცია განხორციელდა Mikrosot Excel (ME) და C++Ruilder(CB) პროგრამების საშუალებით.

სარკინიგზო და საზღვაო ტრანსპორტის ურთიერთქმედების პროცესის მათემატიკური მოდელირების პროგრამის ალგორითმი ზოგადი სახით, რომელიც შეიცავს 95 ბლოკს წარმოდგენილია სურათზე 5. წარმოდგენილი ალგორითმი სრულად ასახავს ამოცანას მთლიანად, ხოლო შემდეგ თითოეული ბლოკის ოპერაცია გამოიკვლევა დაწვრილებით.

მათემატიკური მოდელირება ეხება არა მხოლოდ ერთი პარამეტრის ოპტიმიზაციასა და შერჩევის საკითხს, არამედ ტრანსპორტის ორი სახის ურთიერთობების ცალკეულ უბნებზე სათანადო გაანგარიშებებს: ნავმისადგომების რაოდენობის საანგარიშო ალგორითმი, საზღვაო ტრანსპორტისათვის ტექნოლოგიური ხაზების საშუალო რაოდენობის განსაზღვრის ალგორითმი, სარკინიგზო ტრანსპორტის მომსახურებისათვის ტექნოლოგიური ხაზების გაანგარიშების ალგორითმი, პორტში შემოსული გემების რაოდენობის განსაზღვრის ალგორითმი და ა.შ. (რადგან სქემები ტიპიურია ისინი ავტორეფერატში არ მოგვყავს, იხ. დისერტაცია).

ნაშრომში დასმული ამოცანის შინაარსიდან გამომდინარე პროგრამის მუშაობის უმნიშვნელოვანეს შედეგს, წარმოადგენს $E_{xp}$ და $\lambda^{*}t_{xp}$ პარამეტრების გაანგარიშება. $\lambda_c \cdot t_{xp}$ ნამრავლი ახასიათებს პორტში გემების შემოსვლის ინტენსივობას $t_{xp}$ დროში. ამ ამოცანის პირობებში $t_{xp}$ არის მუდმივი რიცხვი და აიღება 3 დღეღამის ტოლი. რაც შეეხება $\lambda_c$ – ს, ის ცვლადი პარამეტრია და დამოკიდებულია ნავიგაციის პერიოდზე, პორტის ტვირთბრუნვაზე დაგემების ტევადობაზე.

გემების ტევადობაზე დამოკიდებულებით განისაზღვრა საკონტეინერო ტერმინალის მოცულობა შემავალი გემების პუანსონისეული ნაკადის შემთხვევაში:

$$E_{xp} = Q_{\text{ეონ}} \cdot K_{\text{ტევ}} \cdot K_p$$

სადაც $Q_{\text{ეონ}}$ – გემის კონტეინერტევადობაა, კონტეინერი; $K_{\text{ტევ}}$ – გემის ტვირთამწეობის გამოყენების კოეფიციენტია, $K_{\text{вм}} = 0{,}85$; $K_{\text{р}}$ – გემების საანგარიშო რაოდენობაა.

თუმცა $K_{\text{р}}$ პარამეტრში აგრეთვე ჩადებულია კონტეინერმზიდი გემის ტევადობა.

$$\left.\begin{aligned} K_{\text{р}} &= f(\lambda_{\text{c}}.t_{\text{xp}}) \\ \lambda_{\text{c}} \cdot t_{\text{xp}} &= \varphi(Q_{\text{ეონ}}) \end{aligned}\right\} \Rightarrow K_{\text{р}} = F(Q_{\text{ეონ}})$$

საწყობის ტევადობის კვლევისას ვღებულობთ ალბათობა $P$=0,9, ხოლო გადასაწყვეტი ამოცანის ძირითადი დანიშნულებაა გემების $K_p$ განსაზღვრა, რომლებიც შემოდიან პორტში $t_{xp}$ დროში.

$P(k_p) = f(\lambda_{\text{c}} t_{\text{xp}})$ ალბათობის განაწილების ფუნქცია მოცემულია სურატზე 6.




სურ. 6. გემების პორტში შემოსვლის ალბათობის ფუნქციის განაწილების გრაფიკი, ინტენსივობის სხვადასხვა მნივნელობის დროს.

**Fig. 6. The diagram of the ship enetering probability distribution function at various values of intensity (the calculating number of ships).**




სურ. 7. საკონტეინერო ტერმინალის მოცულობისა და გემის ტევადობის დამოკიდებულების გრაფიკი.

**Fig. 7. Th diagram of the relationship between the container terminal volume and ship carrying capacity (container terminal volume, ship carrying capacity).**

საკონტეინერო ტერმინალის მოცულობისა და გემის ტევადობის ურთიერთ დამოკიდებულების გრაფიკი $E_{xp} = f(Q_{\text{ვონ}})$ ფუნქციის მრუდები მოცემულია სურათზე 7. ტვირთის შენახვის პერიოდში პორტში გემების შემოსვლის ინტენსივნობის $\lambda_c \cdot t_{xp} = f(Q_{\text{ვონ}})$ და პორტში ერთდროულად შემოსული გემების საანგარიშო რაოდენობის $K_p = f(Q_{\text{ვონ}})$ გრაფიკები შესაბამისად წარმოდგენილია სურათებზე 8 და 9.




სურ. 8. ტვირთის შენახვის პერიოდში პორტში გემების შემოსვლის ინტენსივნობის გემის ტევადობაზე დამოკიდებულების მრუდი

**Fig. 8. Ship entering intensity and ship carrying capacity curve during the cargo storage period (ship entering intensity, ship carrying capacity).**



სურ.9. პორტში ერთდროულად შემოსული გემების საანგარიშო რაოდენობის გემის ტევადობაზე დამოკიდებულების მრუდი.

**Fig.9. The influence curve of the calculating number of ships enetering the port simultaneously and ship carrying capacity (the calculating number of ships, ship carrying capacity).**

გრაფიკიდან (სურ.7) ჩანს, რომ $Q_{კონ}$ -ს ცვლილების განსაზღვრულ ინტერვალში პარამეტრი $\lambda_c \cdot t_{xp}$ არის მუდმივი. ასეთ შემთხვევაში საკონტეინერო ტერმინალის მოცულობის მნიშვნელობა $E_{xp}$ იცვლება გემების ტევადობის $Q_{კონ}$ პროპორციულად, თუმცა $\lambda_c \cdot t_{xp}$ პარამეტრის ცვლილებით ხდება საკონტეინერო ტერმინალის მოცულობის მოხმარების შემცირება გემების ტევადობის უმნიშვნელო ზრდისას.

პორტში გემების ფიქსირებული ინტენსივობით მოსვლის შემთხვევაში მათი საანგარიში რაოდენობა რჩება უცვლელი, იმ დროს როცა გემზე კონტეინერების რაოდენობა იზრდება. გემების ტევადობის პროპორციულად იზრდება აგრეთვე საკონტეინერო ტერმინალის მოცულობაც. გემების მოსვლის ინტენსივობის შემცირება პორტში ხდება იმ მონენტში, როცა გემის ტევადობის მნიშვნელობა მიაღწევს კრიტიკულ ზღვარს.

უნდა აღინიშნოს, რომ კონტეინერმზიდი გემების ტევადობის გაზრდით მცირდება ტვირთის შენახვის პერიოდში პორტში გემების შემოსვლის ინტენსივნობა (სურ.8) და შესაბამისად პორტში ერთდროულად შემოსული გემების საანგარიშო რაოდენობები (სურ.9).

**ნაშრომის მეხუთე თავში** ჩატარებულია სხვადასხვა სახის ტრანსპორტის ურთიერთქმედების სრულყოფის ეკონომიკური დასაბუთება, რომელიც ეყრდნობა საკონტეინერო ტერმინალის ძირითადი მაჩვენებლების ალბათური და ანალიზური მეთოდებით გაანგარიშებულ ტერმინალის მოცულობების ანალიზს.

საზღვაო პორტი, როგორც ლოგისტიკური ჯაჭვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლი, წარმოადგენს კონტეინერნაკადის უწყვეტობის საუძველს და ასრულებს ე.წ. ინტერფეისის (გადაცემის) ფუნქციას, სატრანსპორტო პორტების ზომების შეთანხმება-შენახვას, მოძრაობის უთანაბრობის დაგლუვებას (ბუფერული ფუნქცია), ტვირთების კომერციული შენახვის (სასაწყობო ფუნქცია) და ტვირთნაკადების გადამუშავებას (ლოგისტიკური ფუნქცია).

ანალიზური მეთოდებით: პორტში გემების მოსვლის უთანაბრობის, გემ-კონტეინერმზიდის ტევადობის და სასაწყობო მარაგების ცვალებადობის გათვალისწინებით გაანგარიშებული საკონტეინერო ტერმინალის მოცულობები შედარებული იქნა კომპიუტერული პროგრამით გამოთვლილ საკონტეინერო ტერმინალის მოცულობასთან (2088, 2295). ანგარიშებით მიღებული მნიშვნელობების საფუძველზე განისაზღვრა ანალიზური და ალბათური მეთოდებით საკონტეინერო ტერმინალის მოცულობებს შორის განსხვავება (Δ).

დამატებითი კაპიტალდაბანდების ანგარიშისთვის სპეციალური მეთოდიკით იანგარიშება 1 მ$^2$ სასაწყობო ფართობების ღირებულება, რომელშიც

გათვალისწინებულია ეროვნული ვალუტის ინფლაციის კოეიციენტი. 200 000 და 250 000 კონტეინერების წლიური ტვირთბრუნვისათვის დამატებითი კაპიტალდაბანდებების გაანგარიშებული მნიშვნელობები მოცემულია ცხრილში 1.

ცხრილი 1

| დასახელება და ვარიანტის ნომერი | საკონტეინერო ტერმინალის მოცულობა $E_{xp}$, კონტეინერი | | პარამეტრი δ, % | | პარამეტრი $\Delta_F$, მ$^2$ | | დამატებითი კაპიტალური დანახარჯი მშენებლობაზე K, პირობითი ერთეული | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ბათუმის საზღვაო პორტი | ფოთის საზღვაო პორტი | ბათუმის საზღვაო პორტი | ფოთის საზღვაო პორტი | ბათუმის საზღვაო პორტი | ფოთის საზღვაო პორტი | ბათუმის საზღვაო პორტი | ფოთის საზღვაო პორტი |
| I. საკონტეინერო ტერმინალის მოცულობა, საზღვაო ტრანსპორტის უთანაბრო მუშაობის დროს | 2302 | 3452 | 10% | 50% | 713 | 3857 | 4991 | 26999 |
| II. საკონტეინერო ტერმინალის მოცულობა, გემების კონტეინერის ტევადობის მიხედვით | 2450 | 2450 | 17% | 8% | 1207 | 517 | 8449 | 3619 |
| III. საკონტეინერო ტერმინალის მოცულობა სასაწყობო მარაგების მიხედვით | 2169 | 2917 | 4% | 27% | 630 | 2073 | 4410 | 14511 |

ამრიგად შეიძლება დავასკვნათ, რომ წარმოდგენილი მეთოდიკა საშუალებას იძლევა შევაფასოთ საწყობების მოცულობები და ტევადობა იმ შემთხვევაში, თუ მისი ფართი თავისუფალია, გამოვიყენოთ იგი სხვა სახის ტვირთებისათვის, რომელიც ამას საჭიროებენ, ანუ საჭიროებენ შენახვას საწყობში  და არა ვაგონებში.

**ძირითადი დასკვნები**

1. სტატისტიკური მონაცემების ანალიზით დადგინდა, რომ საქართველოს საზღვაო პორტებში შემოსული მზარდი ტვირთნაკადის შემთხვევაში აუცილებელია მომიჯნავე სახის ტრანსპორტის ურთიერთქმედების ახალი დონის სისტემის შექმნა.
2. ევროპული ქვეყნების საბაჟო პრაქტიკასთან საქართველოს საბაჟო სამსახურების საქმიანობის დაახლოების აპრობირებული მეთოდების გამოყენება აამაღლებს საერთაშორისო სატრანზიტო ტვირთების ნაკადების საბაჟო ადმინისტრირების ეფექტურობას
3. კონტეინერნაკადის გადაცემისას სარკინიგზო და საზღვაო ტრანსპორტის ურთიერთქმედების პროცესის ანალიზისათვის რეკომენდირებულია გამოყენებული იქნას ნაშრომში დამუშავებული დისკრეტული, პარამეტრული და სიმბოლური მოდელები.
4. საქართველოს პორტებისათვის, მარაგების მართვის თეორიის გამოყენებით დამუშავებული მეთოდიკის საშუალებით, განისაზღვრა ვაგონების მიწოდების ოპტიმალური რაოდენობა (16-39 კონტეინერ-ვაგონი), რომლის დროსაც საზღვაო და სარკინიგზო ტრანსპორტის ურთიერთქმედების პროცესის შესრულების საერთო დანახარჯი მინიმალურია.
5. საკონტეინერო ტერმინალის მოცულობისა და გემის ტევადობის დამოკიდებულების მრუდებიდან (სურ. 4.8 და სურ. 4.11) ჩანს, რომ გემის ტევადობის $Q_{კონ}$ ცვალებადობის განსაზღვრულ ინტერვალში გემების მოსვლის ინტენსივობის პარამეტრი $\lambda_c \cdot t_{შენ}$ არის მუდმივი. ამასთან საკონტეინერო ტერმინალის მოცულობა $E_{xp}$ იცვლება გემების ტევადობის $Q_{კონ}$ პროპორციულად, თუმცა $\lambda_c \cdot t_{შენ}$ პარამეტრის ცვალებადობით სწარმოებს საკონტეინერო ტერმინალის მოცულობის მოხმარების შემცირება გემების ტევადობის უმნიშვნელო ზრდისას.

6. პორტში კონტეინერმზიდი გემების მაღალი ინტენსივობით შემოსვლისას საზღვაო და სარკინიგზო ტრანსპორტის ოპტიმალური ურთიერთქმედებისათვის აუცილებელია კონტეინერები საწყობში მოხვდეს მცირე პარტიებად. ამასთან რაც უფრო ახლოს არის შემოსული და გასული კონტეინერების რაოდენობრივი მახასიათებლები ერთმანეთთან, მით ნაკლებია მარაგების ცვალებადობა საწყობებში და შესაბამისად მით უფრო მცირე იქნება ტერმინალის მოხმარების მოცულობა.

7. კვლევებმა აჩვენა, რომ არსებული ანალიზური მეთოდით გაანგარიშებული საკონტეინერო ტერმინალის საწყობის მოცულობის მნიშვნელობა 8-50 %-ით მეტია ვიდრე დამუშავებული ალბათური კომპიუტერული მოდელირებით, რაც შესაბამისად იწვევს ტერმინალის მოცულობის მშენებლობის კაპიტალდაბანდების გაზრდას.

8. სხვადასხვა მეთოდით 250 ათასი კონტეინერის წლიური ტვირთბრუნვის ტერმინალის მოცულობის ანგარიშისას დანახარჯები კაპიტალდდაბანდებაზე მცირდება 26999-დან 3619 პირობით ერთეულამდე. ეკონომიკურად მიზანშეწონილია საკონტეინერო ტერმინალის გავლით სხვადასხვა სახის ტრანსპორტის ურთიერთქმედების პროცესის კვლევა მათემატიკური მოდელირებით.

**დოქტორანტ ირაკლი მიქელაძის ავტორობით და თანაავტორობით გამოქვეყნებული შრომები:**

**Doctoral student Irakli Mikeladze has authored and co-authored scientific publications as follows:**

1. Mikeladze I., Chabukiani R., Kochadze T., **ANAKLIA DEEP-WATER PORT AS A MAJOR FACTOR OF INCREASING THE TRANSIT CAPACITY OF GEORGIA.** International scientific journal "SCIENS.BUSINESS.SOCIETY".YEAR 4 , Issue 2/2019. **WWW.stumejournals.com**
2. Mikeladze I., Chabukiani R, Kochadze T., **TRANSIT CAPACITIES OF THE SOUTH CAUCASUS TRANSPORT CORRIDOR,** International scientific journal "transport&MOTAUTO WORLD". YEAR IV, Issue 3/2019. WWW.stumejournals.com ;
3. Mikeladze I., Chogovadze J., Chabukiani R. **On the issue of the development of transport systems in post-Soviet countries.** Proceedings of International Scientific Conference "Problems of accessibility of disabled people in urban infrastructure and development prospects" Kutaisi, 2019.
4. Mikeladze I., Chabukiani R. **On the issue of improving the customs administration system of transit traffic.** Proceedings of the online scientific conference of Batumi State Maritim Academy, Batumi, 2020.
5. Irakli Mikeladze, Rani Chabukiani, Teimuraz Kochadze, **Some issues related to increasing the traffic volume and smoothness.** International scienctific journal "transport&MOTAUTO WORLD". YEAR IV**, Issue 1/2021. WWW.stumejournals.com**

**Akaki Tsereteli State University**

**Faculty of Engineering and Technology**



Irakli Mikeladze

